

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ბი ბი“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე გეგმავს ლურჯი მოცვის ბაღის გაშენებას. მოცვის ბაღისთვის უმნიშვნელოვანესია მორწყვის ეფექტური სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტის ფარგლებში მოაწყოს ისრაელის წარმოების წვეთოვანი სამელიორაციო სისტემა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ კენკროვანი კულტურების ბაღის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს და ვითხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „ბი ბი“-ს საოპერაციო დირექტორი

დავით ბიწაძე





გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 887/01
02/02/2022

887-01-2-202202021121



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „ბი ბის“ მიერ წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33675>). გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა უზრუნველყოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში **2022 წლის 9 თებერვლის ჩათვლით**, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

გიგზავნით აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით. გთხოვთ, უზრუნველყოთ დოკუმენტაციის განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ბი ბი“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე გეგმავს ლურჯი მოცვის ბაღის გაშენებას. მოცვის ბაღისთვის უმნიშვნელოვანესია მორწყვის ეფექტური სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტის ფარგლებში მოაწყოს ისრაელის წარმოების წვეთოვანი სამელიორაციო სისტემა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ კენკროვანი კულტურების ბაღის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს და ვითხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „ბი ბი“-ს საოპერაციო დირექტორი

დავით ბიწაძე

